

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №9 სექტემბერი 2015 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იმგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

8(21) სექტემბერი. შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა მარიამისა

ქრისტიანულ ლიტერატურაში არსებობს იაკობის აპოკრიფული თხზულება „შობა მარიამისა“, რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს, როგორ შეეძინათ იოაკიმესა და ანას მომავალი მშობელი განკაცებული უფლისა.

მდიდარი, მაგრამ უშვილო იოაკიმე ყოველწლიურად ორმაგ მსხვერპლს სწირავდა უფალს. ერთ-ერთ დღესასწაულზე, როცა ებრაელები იერუსალიმის ტაძარში მსხვერპლშეწირვისათვის ემზადებოდნენ, მათ უარი უთხრეს იოაკიმეს პირველს შეეწირა მსხვერპლი, მიზეზად კი იოაკიმესა და ანას უშვილობა წამოაძახეს (ებრაელებში უშვილობა ღვთის სასჯელად ითვლებოდა).

დაღონებულ იოაკიმეს მწუხარება გაუასკეცდა და ისე მიაშურა უდაბნოს, რომ შინაც აღარ შეუვლია მეუღლის სანახავად. იქ სახელდახელოდ აგებულ კარავში მან ორმოცი დღე გაატარა უჭმელ-უსმელმა მხურვალე ლოცვაში.

წმიდა ანას წუხილს ქმარზე დარდიც დაემატა და ის თითქმის არავის ეჩვენებოდა. ანას უშვილობა წამოაყვედრა მისმა მხევალმაც: „უფალმა ღმერთმა დაგიხშო საშო და არ მოგმადლა ნაყოფი ისრაელიანთა შორისო“.

მაშინ ანამ სამგლოვიარო სამოსელი გაიხადა, სახეიმოდ ჩაიცვა, ბაღში ჩავიდა, დაფნის ქვეშ ჩამოჯდა და უფალს მხურვალედ შეევედრა: „ღმერთო მამათა ჩვენთაო, მაკურთხე მე და შეისმინე ჩემი ვედრება, როგორც აკურთხე შენ ჩვენი სარა და მიანიჭე მას ისაკი“.

ანგელოზი გამოეცხადა ანას და ახარა, რომ ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და იგი დედა გახდებოდა, მისი ნაშობი კი ქვეყანასა ზედა განდიდდებოდა.

გახარებულმა ქალმა მადლიერების ნიშნად აღთქმა დადო, შვილი უფლისათვის შეეწირა, რომ მისი მსახური ყოფილიყო მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც აუწყა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და მალე შვილი შეეძინებოდათ.

მათ შეეძინათ ქალი, რომელსაც მარიამი უწოდეს. ექვსი თვის შემდეგ მარიამი დედამ მიწაზე დასვა. ბავშვმა შვიდი ნაბიჯი გადადგა და კალთამდე მიაღწია. გახარებულმა დედამ შვილი ხელში აიტაცა და აღთქმა დადო, რომ ვიდრე უფლის ტაძრამდე არ მიიყვანდა, მიწაზე ფეხს აღარ დაადგმევინებდა.

როცა მარიამი სამი წლისა გახდა, მშობლებმა, მიცემული აღთქმის მიხედვით ტაძარში მიიყვანეს. უბიწო ასულებმა ანთებული სანთლებით მიაცილეს ბავშვი ტაძრამდე, მღვდელმთავარმა მარიამი საკურთხეველში შეიყვანა და ასე აკურთხა: „შთამომავალთა შორის განადიდა უფალმა სახელი შენი, უკანასკნელ ჟამს შენ მიერ გამოიხსნას უფალმა შვილნი ისრაელისა“.

ცხოვრობდა ტაძარში ქალწული და ანგელოზთა ხელით იღებდა საზრდოს, სანამ თორმეტი წლის არ გახდა და უფლის ბრძანებით საპატრონოდ მოხუც ქვრივს, იოსებს არ ჩააბარეს.

შობა ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია. ეს ის დღეა, როცა უფალმა წყალობის თვალით გადმოხედა ცოდვით დაცემულ კაცობრიობას და ქვეყანას მოუვლინა წიაღი ღვთის განხორციელებისა, საყდარი მეუფისა, კიბე ზეცისა, გამომსყიდველი ევას შეცოდებისა — ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამი, დედა უფლისა ჩვენისა და იესო ქრისტესი.

14(27) სექტემბერი. მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისა, ჯვართამაღლება

ღვთის განგებით, მაცხოვრის ჯვარცმიდან სამასი წლის შემდეგ ქრისტიანებმა მანამდე დაკარგული უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე — ცხოველმყოფელი ჯვარი უფლისა ისევ მოიძიეს და მისი თაყვანისცემის შესაძლებლობა მიეცათ. ეს მოხდა 326 წელს, მოციქულთასწორის, კონსტანტინე დიდის დროს.

რომის წარმართი იმპერატორები ცდილობდნენ, ადამიანთა ცნობიერებიდან აღმოეფხვრათ იმ წმიდა ადგილების ხსოვნა, სადაც მაცხოვარი ევნო და დიდებით აღდგა. იმპერატორმა ადრიანემ (117-138) მიწით დააფარვინა გოლგოთა და ქრისტეს საფლავი, შემდეგ კი ხელოვნურად შექმნილ ბორცვზე წარმართული ქალღმერთის, ვენერას ტაძარი და იუპიტერის კერპი აღამართვინა. კონსტანტინე დიდმა სასწაულებრივად ირწმუნა ქრისტე მას შემდეგ, რაც იმპერიისათვის გადამწყვეტი ბრძოლის წინ ცაზე იხილა ჯვრის ნიში წარწერით: „ამით სძლიე!“ უფლის რჩეულმა ჯვრის ძალით მართლაც გამანადგურებელი დამარცხება აგემა მოწინააღმდეგეს, რის შემდეგაც არ ასვენებდა სურვილი იმ ძელის მოძიებისა, „რომელთა

ზედა მაცხოვარმა, ჭელნი განიპყრნა“. მან მოოხრებულ იერუსალიმში გაგზავნა დედამისი — კეთილმსახური დედოფალი ელენე, რომელსაც პატრიარქ მაკარისთან წერილიც გაატანა თხოვნით, ხელი შეეწყო წმიდა საქმისათვის. დიდი ხნის ძებნის შემდეგ იპოვეს მაცხოვრის საფლავი, მის მახლობლად კი სამი ჯვარი. რომ გაეგოთ რომელი იყო ცხოველმყოფელი ძელი უფლისა, სამივე ჯვარი რიგრიგობით შეახეს მიცვალებულს. მესიის ჯვრის შეხებაზე მიცვალებული გაცოცხლდა. ურიცხვი ქრისტიანი შეიკრიბა სიწმინდის თაყვანსაცემად. ისინი პატრიარქ მაკარს სთხოვდნენ, აღემართა ჯვარი, რომ ყველას შეძლებოდა მისი დანახვა, მაშინ მღვდელმთავარმა სხვა სასულიერო პირებთან ერთად სიწმიდის ამაღლება დაიწყო, ხალხი კი ვედრებით „უფალო, შეგვიწყალენ“, კრძალვით თაყვანს სცემდა მას. წმიდა ჯვრის აღმოჩენას კიდევ ერთი სასწაული ახლდა თან: მისი გადასახვით მძიმე ავადმყოფი ქალი განიკურნა.

სიტყვაში ჯვართამაღლების დღესასწაულზე ანდრია კრიტელი წერს: „ჯუარი ამაღლდების და სავსებაᲲ ეკლესიისაᲲ შემოკრბების. ჯუარი ამაღლდების და ქალაქნი დღესასწაულობენ და ერნი მხიარულად მოისწრაფიან, რამეთუ მოხსენებაიცა ჯუარისაᲲ მიზეზ იქნების სიხარულისა და მირიდება — მჭმუნვარებისა“.

29(11.09) აგვისტო. თავისკვეთა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემლისა იოანესი

გალილეის მმართველმა, ჰეროდე ანტიპამ იოანე ნათლისმცემელი საპყრობილეში ჩააგდო. წმიდა წინასწარმეტყველი ჰეროდეს დაუფარავად ამხელდა კანონიერი ცოლის, არაბეთის მეფის, არეთას ასულის დაგდებისა და თავისი ძმის, ფილიპეს მეუღლესთან, ჰეროდიადასთან უკანონო ცხოვრების გამო.

ჰეროდემ თავის დაბადების დღეს დიდებულებს, უხუცესებსა და ათასისთავებს ვახშამი განუმზადა. ჰეროდიადას ასული სალომეა როკვიდა სტუმრების წინაშე, რითაც ჰეროდეს დიდად ასიამოვნა. მოხიბლულმა მმართველმა ქალს ფიცით აღუთქვა, რომ უბოძებდა ყველაფერს, რასაც ითხოვდა, თუნდაც ნახევარი სამეფო ყოფილიყო. ბილწმა მოცეკვავემ თავისი ბოროტი დედის, ჰეროდიადას შეგონებით, ლანგარზე დადებული იოანე ნათლისმცემლის თავი მოითხოვა. ჰეროდე დამწუხრდა — ეშინოდა ღვთის რისხვისა იმ წინასწარმატყველის მოკვლისათვის, რომელსაც აღრე თვითონვე უსმენდა, მაგრამ არ ისურვა დაერღვია სტუმრების წინაშე დაუფიქრებლად დადებული ფიცი და ბრძანა, წინასწარმეტყველისათვის თავი მოეკვეთათ და სალომეასათვის მიერთმიათ. გადმოცემით, სინანულის ქადაგის მოკვეთილი თავის ბაგეები კიდევ ერთხელ განიხვნა და წარმოთქვა: „ჰეროდე, შენ არ უნდა გესვას შენი ძმის, ფილიპეს ცოლი“. სალომეამ ლანგარი თავის დედასთან მიიტანა. გახელებულმა ჰეროდიადამ ნემსით დაჩხვლიტა წმიდანის ენა და წმიდა თავი უწმინდურ ადგილას დაფლა. მაგრამ კეთილმსახურმა იოანამ, ჰეროდეს ეზოსმოძღვრის, ქოზას ცოლმა სიწმინდე ამოთხარა, თიხის ჭურჭელში ჩაასვენა და ელეონის მთაზე — ჰეროდეს ერთ—ერთ მამულში დაკრძალა. იოანე ნათლისმცემლის წმიდა გვამი კი მისმა მოწაფეებმა იმავე ღამეს მიაბარეს მიწას სებასტიაში, იქ, სადაც ბოროტმოქმედება აღესრულა. წმიდა იოანეს მკვლელობის შემდეგ ჰეროდე რმადენიმე ხანს კიდევ აგრძელებდა მმართველობას. სახარებიდან ჩანს, რომ იუდეის მმართველმა, პონტოელმა პილატემ მასთან ბორკილდადებული იესო გაგზავნა, რომელიც შეურაცხყო ჰეროდემაც და მისმა ერმაც.

ღვთის სამსჯავრო ჰეროდეს, ჰეროდიადასა და სალომეასთვის მათი მიწიერი ცხოვრების დროსვე აღესრულა. სალომეას ზამთარში მდინარე რიკორისზე გადასვლის დროს ყინული ჩაუტყდა და ქვეშ მოექცა. ყინულმა იგი ისე ჩაიჭირა, ტანით წყალში იყო ჩაკიდული, თავი კი ყინულის ზემოთ ჰქონდა დარჩენილი. ასე ეკიდა მანა, სანამ ბასრმა ყინულმა კისერი არ გადაუჭრა. გვამი ვერავინ იპოვა, ხოლო თავი კი, როგორც ოდესღაც წმიდა იოანე ნათლისმცემლისა, ჰეროდეს და ჰეროდიადას მიუტანეს. არაბეთის მეფე არეთამ, თავისი ქალიშვილის შერცხვენისათვის შური რომ ეძია, ჰეროდეს წინააღმდეგ გაილაშქრა, ჰეროდე დამარცხდა. განრისხებულმა გაიუს კალიგულამ იგი შეიპყრო და ჰეროდიადასთან ერთად ჯერ გალიაში, შემდეგ კი ესპანეთში გადაასახლა, სადაც ისინი უეცრად გაპობილ მიწაში დაინთქნენ.

13(26) სექტემბერი. ხსენება დიდმოწამისა საქართველოს მნათობისა, კახეთის დედოფლისა ქეთევანისა (1624)

წმიდა ქეთევანი იყო აშოთან მუხრანბატონის ასული. კეთილგონიერი და მორწმუნე ქეთევანი კახეთის მეფის, ალექსანდრეს უფროს ვაჟზე, დავითზე დააქორწინეს.

საქართველოსთვის ძნელბედობის ჟამს, როცა სპარსეთი ყოველნაირად ავიწროებდა ქვეყანას, შაჰ-აბასმა კახეთის მეფეს თეიმურაზს ჯერ უფროსი შვილი ლევანი სთხოვა მძევლად, ხოლო შემდეგ უმცროსი შვილი ალექსანდრე და დედამისი ქეთევან დედოფალი მოითხოვა.

ათი წელი იტანჯებოდა დედოფალი „საპატიო“ ტყვეობაში. მარხვით, ლოცვით, ქვაზე წოლით გაილია დედოფლის სხეული. მაინც მხნედ იყო, უვლიდა, ზრუნავდა და ზედ დაჰფოფინებდა თავის სამწყსოს — მის გამგებლობაში მყოფ ოციოდე ქართველს.

ხედავდა გულმრისხანე შაჰი, რომ „უდრეკ იყო დედოფალი“, ისევ წმიდა სამებას სასოებდა კახეთის მანათობელი ვარსკვლავი, ჯვარცმულ მაცხოვარს ავედრებდა თავის ჯვარცმულ ქვეყანას და ემზადებოდა დიდი მისიისათვის.

უსჯულო აბასმა გადაწყვიტა, რჯული გამოეცვლევინებინა ქეთევანისათვის. მისი უზნეობა და თავხედობა იქამდეც კი მივიდა, რომ ცოლობა სთხოვა ზნესრულ დედოფალს და ეს მოხდა იმ დღეს, როცა წმიდანმა თავისი შვილიშვილების დასაჭურისების ამბავი შეიტყო.

შაჰმა იმამ-ყული-ხანს შეუთვალა: „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენ და თუ არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით მოკალიო. ქეთევან დედოფალი წამებისათვის განეშზადა. ილოცა, შვილი და მამული შეავედრა უფალს, შეჰღაღადა: „მეუფეო ქრისტე, სიტყუაო ღვთისაო, არა შუენოდა მხევლისა შენისად უარის ყოფაი შენი, ნუ მიმცემ ეშმაკსა მხევალსა შენსა“, ეზიარა მაცხოვრის ყოვლადპატიოსან და უხრწნელ ხორცსა და სისხლს და უშიშრად დადგა ჯალათების წინაშე.

უსჯულოებმა ენით აუწერელი სისასტიკით აწამეს ქართველთა წმიდა დედოფალი. წმიდა სულმა დატოვა ნაგვემი სხეული. გამძვინვარებულმა ჯალათებმა ნადირთა სათრევად დააგდეს წმიდა დედოფლის გვამი, მაგრამ ღმერთმა მოავლინა სასწაული — წმიდანის ნეშტს ნათელი დაადგა.

წამების მხილველმა ფრანგებმა წმიდა დედოფლის ნაწილები დიდი პატივით წაასვენეს, საკმეველითა და მურით გაჟღენთილ ქსოვილში გაახვიეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს, რამდენიმე ხნის შემდეგ კი კახეთის მეფეს თეიმურაზს გამოუგზავნეს თავისი წმიდა დედის თავი მკლავთან და სხვა ნაწილებთან ერთად.

თეიმურაზ მეფემ დიდი პატივით და დიდებით დაკრძალა ალავერდის წმიდა გიორგის ტაძარში.

უწმინდესის გამონათქვამები

...„მაღალი კულტურა და განვითარებული ტექნიკა ხალხის ბედნიერებისათვის არ არის საკმარისი, არის ღირებულებანი, რომელიც ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში საუკუნეობით იქმნებიან და ყალიბდებიან და რომელთა დაკარგვაც დანაშაულია. ჩვენთვის ასეთია მართლმადიდებელი სარწმუნოება — მოციქულთაგან ბოძებული მუსიკა, — ყველას რომ აღაფრთოვანებს, ჩვენი ენა და დამწერლობა — იდუმალებით სავსე და დიდებული, გასაოცარი ხელოვნება, ხატწერა, არქიტექტურა, ჩვენი შშვენიერი წესჩვეულებანი.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის რომელი ტრადიციები შეედრება ამას? სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, რა სიმდიდრის მფლობელნი ვართ“.

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ახალი სასწავლო წელი გიმნაზიაში

პარაკლისი ახალი სასწავლო წლის დაწყების დროს მეუფე იეგუდიელთან ერთად.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში სიხარულით შეხვდნენ როგორც მოსწავლეები, ასევე გიმნაზიის მესვეურები.

ახალი სასწავლო წელი, როგორც ყოველთვის, დაიწყო პარაკლისით. პარაკლისი გადაიხადა წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის მოძღვარმა იღუმენმა ეგნატე ჭიჭინაძემ. მოძღვარმა დალოცა მოსწავლეები, უსურვა კარგი სწავლა და როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური სიძლიერე.

წელს პირველ კლასში ჩაირიხა 4 მოსწავლე, მათ უფასოდ დაურიგდათ სასწავლო წიგნები და ინვენტარი. პატარები სიმღერითა და ლექსებით შეეგებნენ ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

გიმნაზიის პირველკლასელები მასწავლებელთან ერთად

გიმნაზიის დირექტორმა, მეუფე იეგუდიელმა 22 წარჩინებული მოსწავლე დააჯილდოვა სიგელებით. ესენია, II კლასის მოსწავლეები: ღუდუშაური ვაჟა, გელაზარიშვილი მარიამი, ფიცხელაური დავითი, მელაძე გაბრიელი, ქუშაშვილი მაგდა და სუჯაშვილი ლუკა; III კლასიდან: ოდიშვილი გიორგი, პაპიაშვილი მარიამი, ვალიშვილი დავითი, ქუშაშვილი ლუკა, ჩქარეული ქეთევანი, ფიცხელაური ლექსო, ფიცხელაური გიორგი და ბედოშვილი გიორგი; IV კლასიდან: ბურდული ლალი, ქუშაშვილი ნინო; VI კლასიდან: კაზალიკაშვილი ანა, ქუშაშვილი თამუნა, გელაძე ანი; VII კლასიდან: სუჯაშვილი მარიამი, მაისურაძე ლუკა; VIII კლასიდან ბუჩუკური გიორგი.

მეუფე იეგუდიელმა დალოცა ბავშვები და უსურვა კარგი სწავლა.

ეთერ პაპიაშვილი

დირექტორის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში

დაიწყო ახალი სასწავლო წელი

ახალ სასწავლო წელს სიხარულით შევეგებეთ გიმნაზიის მოსწავლეები. მართლაც მოგვნატრებია ჩვენი გიმნაზია. გიმნაზიაც საზეიმო ვითარებაში დაგვხვდა. მეუფე იეგუდიელმა და ჩვენმა მოძღვრებმა სწავლის დაწყების პარაკლისი გადაგვიხადეს, გვისურვეს კარგი სწავლა და წარმატებები. წინ კი თურმე კიდევ სიხარული გველოდა. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გადმოგვცა საჩუქრები, ჩანთები და სხვა სასწავლო ნივთები. ჩვენ კარგი სწავლით უნდა ვუპასუხოთ ამ ზრუნვას და გავახაროთ უფროსები.

მარიამ პაპიაშვილი

გიმნაზიის III კლასის მოსწავლე

ხევის მომავალი

2015 წლის 14 სექტემბერს, სასწავლო-ინტელექტუალურ ცენტრში „ხევის მომავალი“-ის ინიციატივით ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ყაზბეგის ცენტრალური ბიბლიოთეკის განვითარების პერსპექტივა“. კონფერენციაში მონაწილეობდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ექვსივე სკოლის XI-XII კლასის მოსწავლეები, მათ შორის გიმნაზიის XI კლასის მოსწავლე ნატო წიკლაური და XII კლასის მოსწავლე უჩა ხუციშვილი. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი რუსუდან ასათიანი, საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე, ყაზბეგის გამგეელი, საკრებულოს თავმჯდომარე და წევრები, ყაზბეგის მაჟორიტარი დეპუტატი მირიან წიკლაური.

კონფერენციის ჩატარების ინიციატივა მოდიოდა ბავშვებიდან. წიგნისადმი გაორგულება ბოლო დროის სერიოზული პრობლემაა. ბავშვების უმეტესობა სხვადასხვა მიზეზის გამო წიგნთან აღარ მეგობრობს, ამას თვითონ ბავშვები კარგად გრძნობენ.

ბოლო დროის მოვლენებიდან გამომდინარე, წიგნი იყო დავიწყებული, ბიბლიოთეკები — მოშლილი. გამონაკლისი არც ყაზბეგის ბიბლიოთეკა ყოფილა. ყაზბეგში თითქოს ბიბლიოთეკა შენარჩუნებულია, მაგრამ მკითხველი არ ჰყავს.

ბავშვებმა გადაწყვიტეს შეიმუშავონ პროექტი როგორი ბიბლიოთეკა უნდათ ყაზბეგში.

კონფერენციის შემდეგ გაიმართა დისკუსია.

ადგილობრივმა მთავრობამ აღუქვა დახმარება, ბიბლიოთეკის გაფართოვება წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

საბიბლიოთეკო ასოციაციის წარმომადგენლებმა დაგეგმეს ტრენინგები ბიბლიოთეკრებისათვის, შეხვედრები. დაპატიჟეს ბავშვები თანამედროვე ბიბლიოთეკების დასათვალიერებლად.

კონფერენციამ ნაყოფიერად ჩაიარა, იმედს ვიტოვებთ, რომ დასახული გეგმები განხორციელდება.

პროექტის ორგანიზატორი გიმნაზიის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი ნაზი ჩოფიკაშვილი



გავუფრთხილდეთ ხევის ბუნებას

ხევის ბუნება დიდი ხნის განმავლობაში ცვლილებას განიცდიდა. ადრე გამწვანებული იყო ჩვენი კუთხე, წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებით იყო დაფარული და ისე არ ბინძურდებოდა, როგორც დღეს. საუკუნეების განმავლობაში მცირდებოდა ტყის მასივი. ტყე იჩეხებოდა. მოსახლეობა მას იყენებდა, როგორც ზამთრის გასათბობ საშუალებას. ბუნებრივმა აირმა, რომელიც ხევის ტერიტორიაზე იქნა გატარებული, მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო დარჩენილი ტყის მასივის გადარჩენას. პერიოდულად ხდება ხელოვნური ტყით ტერიტორიის გამწვანებაც. თუმცა შეიძლება, მეტი მონდომება თუ იქნება, ხევი კიდევ უფრო გამწვანდეს.

გულსატკენია ის ფაქტი, რომ ჩვენთან მოიმატა სანაგვე ადგილებმა, რომლებიც ჩვენ ხევს დიდი ეკოლოგიური საფრთხის წინაშე აყენებს. ცნობილია, რომ არსებობს ნაგავსაყრელები, რომლებიც რადიაციული საფრთხის წინაშე აყენებენ ადამიანის ჯანმრთელობას. საბედნიეროდ, ხევში ასეთი ნაგავსაყრელი არ დაფიქსირებულა, მაგრამ ხევში მრავლადაა გაბნეული ნაგავსაყრელები. სოფელ აჩხოტში მდებარეობს ნაგავსაყრელი, თუ დროზე არ მოხდება ამ ადგილიდან ნაგვის გატანა და იმ ადგილის დეზინფექცირება, შეიძლება წარმოიშვას ძალიან საშიში ვირუსი. ასევე სტეფანწმინდის შემოსასვლელში თითქმის გზის პირზეა ნაგავსაყრელი, სადაც იყრება თითქმის ყველა სოფლის ნაგავი, ეხვევა ბუზი და ისიც საშიში ინფექციის წყარო ხდება.

ხალხის ჯანმრთელობაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ბინძური წყალი, რომელიც არსად არ იწმინდება, არ ხდება წყლის დაქლორვა და ამდენად, ესეც საშიშია ადამიანების ჯანმრთელობისათვის.

ასე რომ, თუ გვინდა, რომ ბუნებამ ხელი შეგვიწყოს, ჩვენც უნდა შევუწყოთ ხელი ბუნებას.

თემო ბუჩუკური, გიმნაზიის IX კლასის მოსწავლე

უწმინდესის ნათლული ანდრია პაპიაშვილი

ღალანგურის წმინდა გიორგი

ჟაბეგში მრავლადაა სალოცავები, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე ძველია ღალანგურის წმინდა გიორგი. იგი მდებარეობს სნოს ხეობასა და ართხმოს ხეობას შორის განლაგებულ მთის წვერზე. მასთან მისასვლელი გზა საცალფეხო ბილიკზე გადის, კლდის ქარაფებზე. ბილიკის სიგრძე 3-4 კილომეტრია.

ეკლესია აშენებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დაახლოებით V-VI საუკუნეებში.

ღალანგურობას ძალიან მხიარულად ხვდებოდა ხევის მოსახლეობა, ისინი ეკლესიას სამჯერ შემოუვლიდნენ. ეკლესიიდან ყველა თავის საგვარეულო დროშას გამოიტანდა, რის შემდეგაც დეკანოზი მათ ლოცავდა. დალოცვის მიღების შემდეგ კი გაიშლებოდა დიდი სუფრა, იკვლებოდა საკლავი, იხარშებოდა ხინკალი, კაცები ლუდს ხარშავდნენ. ეს მხიარულობა რამდენიმე დღე გრძელდებოდა.

ეკლესიასთან ახლოს არის ტბა, რომელშიც ზამთარ-ზაფხულ წყალი ერთ დონეზე დგას.

ახლა ამ სალოცავს ყურადღებას აღარავინ აქცევს. ადრე აქ ხევსურებიც გადმოდიოდნენ სალოცავად. მოსახლეობა დადიოდა და ყურადღება ექცეოდა სალოცავს, ახლა მისი საძირკველიღაა დარჩენილი. კედლები სულ ჩამოშლილია. დღესდღეობით ვინმეს რომ ჰკითხო, არ იციან მისი არსებობა და არც მდებარეობა. მინდა მოვუწოდო ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, რომ ნუ დავივიწყებთ ხევის წმინდა სალოცავებს, ჩვენ ხომ წინაპართა ფესვები მოვდივართ.

თემო ბუჩუკური, IX კლასი

„ძახილი მთიდან“



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაიბეჭდა პატარა, ლამაზი წიგნი „ძახილი მთიდან“. ამ წიგნის დაბეჭდვა იმიტომაა ჩვენნაირი ახალგაზრდებისათვის მნიშვნელოვანი, რომ მასში თავმოყრილია ახალგაზრდა, ნიჭიერი მოხევე ახალგაზრდობის გულის ნააზრევი. დავინახეთ, რამდენი ხევზე შეყვარებული ახალგაზრდაა, რომელთაც შეუძლიათ ლექსად გადმოსცეს ხევის სილამაზე. ვხედავთ, როგორ უნდა უყვარდეს მოხევეს თავისი სამშობლო და იგი ადვილად არ უნდა გასცვალოს ქალაქზე.

დაცლილი ხევი ამტკივდა,
დახარჯულ სოფლებს ვადნები...
ცოცხალმა აქ უნდა იცხოვრო,
ამაყი მაშინ მაჰკვდები! — ამბობს წიგნის ერთ-ერთი ლექსის ავტორი თამარ ქუქიშვილი.

ახალგაზრდა პოეტი გიორგი გელაძე კი საქვეყნო საქმეზე შეყვარებულ ადამიანს ლოცავს.

ღმერთო, სუყველა დალოცე,
ვინცა იქმს ქართულ საქმესა!
ყველა ვინც თავის ქცევითა
ქვეყანას უთქვამს სახელსა.

ჩვენი გიმნაზიის მოსწავლე ციკო ფიცხელაური თავის ლექსებში უფალს ავედრებს ქვეყანას:

შენი ხვედია ეს ქვეყანა,
დედავ მარამ, შეგვინდე ცოდვა,
გთხოვ, შეიწყალე ჩვენი ქვეყანა
და გზაზე ყველა მოუსპე ცოდვა.

რაოდენ სასიამოვნოა, რომ წიგნში ჩვენი გიმნაზიის ყოფილი მოსწავლეების ლექსებია დაბეჭდილი, ბექა ოჩიაური უმღერის საშობლოს: რამდენჯერ გჭირდა ჭრილობა, რამდენჯერ სისხლი გდენია, რამდენი კარგი ვაჟკაცი შენს დაცვას შეუწირია. გიორგი ფიცხელაურის ლექსი კი „ვინ არის დედა?“ საოცარ სითბოს ამჟღავნებს დედისადმი. დედა? დედა ერთია, ერთად-ერთია. სხვისთვის არ ვიცი, ჩემთვის ღმერთია.

მკითხველს ვურჩევთ წაიკითხონ ბათო ავსაჯანიშვილის, დალი ფირანიშვილის, გიგლა ნარიმანიძის, ლევან ხუციშვილის, მარი მარსაგიშვილის, სალომე ჩაბაკაურის, ხატია გელაძის, ნიკა ბუჩუკურის, გივი ხუციშვილისა და რომან ქუშაშვილის ლექსები, რომლებიც ასევე ჩვენი გიმნაზიის ყოფილი მოსწავლეები არიან.

მათ ლექსებში გულისტკივილია გადმოცემული, რადგან: „წინაპართ ადათ-წესების მიმყვალთა რიცხვი მცირდება, ერის და სჯულის უარმყოფთ უფალთან მეეკითხებათ!“

ამ პატარა წერილში, რა თქმა უნდა, სრულად ვერ დავტევდით ახალგაზრდების ნააზრევს, მაგრამ პერიოდულად ვეცდებით მათი ფიქრები გადმოგცეთ.

მარიამ წიკლაური, გიმნაზიის IX კლ. მოსწავლე

ჩემი გიმნაზია

არდადეგების დამთავრებისთანავე სწავლას მონატრებულმა გიმნაზიას მივაშურე. ძალიან მომენატრა ჩემი გიმნაზია, ერთი სული მქონდა როდის დავიწყებდით სწავლას. გიმნაზიაში გაცილებით ლამაზი, კეთილმოწყობილი და მეტად კომფორტული გარემო დაგვხვდა, ვიდრე წინათ. პირველ დღეს მეუფე იეგუდიელმა გადაიხადა პარაკლისი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით. მან ყველას მოგვილოცა ახალი სასწავლო წლის დადგომა, გვისურვა წარმატებები და წინსვლა სწავლაში და თითოეული ჩვენგანი დაგვლოცა. ყველა წარჩინებულ მოსწავლეს გადმოგვცეს სიგელი წარჩინებული სწავლისათვის. ეს ყველა ბავშვისთვის ძალიან სასიხარულო და საამაყო იყო. ამის შემდეგ მოსწავლეებს დაგვირიგეს სახელმძღვანელოები. სასწავლო წლის პირველი დღე გამორჩეულად ლამაზი და შთამბეჭდავია. ამ დღეს ყოველთვის სიხარულისა და ბედნიერების განცდა მეუფლება.

ანი კაზალიკაშვილი, VI კლ. მოსწავლე

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, ნატო ფიკლაური, უჩა ხუციშვილი.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია- პანსიონი